KA040141321769319

საქართველო, თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. №7; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ელ–ფოსტა: info@csb.gov.ge; www.csb.gov.ge

№ 1101/სა **13 / დეკემბერი / 2019 წ.**

ბრძანება

წლის განმავლობაში შესამოწმებელი თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შერჩევისათვის დამოუკიდებელი კომისიის შექმნის მიზნით, განცხადებისა და შესაბამისი ინფორმაციის/ დოკუმენტაციის წარმოდგენის დამატებითი ვადის განსაზღვრის შესახებ

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის 18[1] მუხლის მე-3 პუნქტის, „შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის N81 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სამსახურის ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განისაზღვროს დამატებითი ვადა წლის განმავლობაში შესამოწმებელი თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შერჩევისათვის დამოუკიდებელი კომისიის შექმნის მიზნით, კომისიაში გაწევრების მსურველი კანდიდატებისთვის 2 (ორი) დღე და კანდიდატებს მიეცეთ შესაძლებლობა წარმოადგინონ განცხადება და შესაბამისი ინფორმაცია/ დოკუმენტაცია 2019 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით.

2. კომისიაში გაწევრების მსურველმა კანდიდატებმა წარმოადგინონ სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2019 წლის 21 ნოემბრის N 1036/სა ბრძანების დანართით განსაზღვრულ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის დამადასტურებელი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბიუროს უფროსი

ხელმოწერილია/ შტამპადასმულია ელექტრონულად

ეკატერინე ქარდავა